ნინო მეტრეველი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ჰოლანდია

ჩემი თავგადასავალი ერასმუსთან მაშინ დაიწყო, როდესაც გავიაზრე, რომ უფრო მეტი მინდოდა, ვიდრე უბრალოდ უნივერსიტეტში სიარული. მსურდა, საკუთარი თავი სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დამეყენებინა, კომფორტის ზონიდან გამოვსულიყავი და ცხოვრება გლობალური პერსპექტივიდან განმეცადა. ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი სხვადასხვა კულტურით, ენებით და ცხოვრების სტილით. შესაბამისად, ჩემი მოტივაცია არა მხოლოდ აკადემიური ზრდის სურვილიდან გამომდინარეობდა, არამედ პიროვნული განვითარების სურვილიდანაც. ვიცოდი, რომ ერასმუსი მომცემდა შესაძლებლობას მესწავლა სხვადასხვა წარმომავლობისა და ხედვის მქონე ადამიანებისგან, რაც გაამდიდრებდა ჩემს ცოდნას მსოფლიოს შესახებ.

რა თქმა უნდა, ერასმუსმა არ დამაღალატა და იმაზე მეტი გამოცდილება, მოგონებები და ურთიერთობები შემძინა, ვიდრე წარმომედგინა.

კულტურულად მრავალფეროვან გარემოში ყოფნა, სადაც ყველა განსხვავებული წარმომავლობის იყო, მაძლევდა საშუალებას, სამყარო გაცილებით ფართო მასშტაბით დამენახა. გაკვეთილებზე სიარული, ESN აქტივობებში მონაწილეობა თუ უბრალოდ საერთო საცხოვრებელში ცხოვრება – ყოველი ინტერაქცია შესაძლებლობას მაძლევდა, რაიმე ახალი მესწავლა. მე გავიცანი ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან - საბერძნეთიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ამერიკიდან, მექსიკიდან და ვიეტნამიდან. მიუხედავად ენების, კულტურებისა და წარმომავლობის განსხვავებისა, ყველას გვქონდა რაღაც საერთო – ყველანი ვცდილობდით ახალ ქვეყანაში ჩვენი გზის გაკვლევას იმ დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, რაც სახლში, ჩვენს ქვეყნებში, მარტივად გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თავგადასავლები უნიკალური იყო, ემოციები, მღელვარება და გაურკვევლობა, რომლის წინაშეც ვიდექით, – უნივერსალური აღმოჩნდა. სწორედ ამ საერთო მომენტებში ვიგრძენი თავი უფრო დიდი, საერთაშორისო საზოგადოების ნაწილად. ამის გააზრებამ ძირეულად შეცვალა ჩემი თავის აღქმა სამყაროში. მე თავს აღარ ვგრძნობდი მხოლოდ ჩემს სამშობლოსთან მიბმულად. პირიქით, საკუთარ თავს უფრო ფართო, გლობალური ქსელის ნაწილად ვთვლიდი.

პიროვნული ზრდის გარდა, აღსანიშნავია პრაქტიკული ცოდნაც, რომელიც უნივერსიტეტში მივიღე. სემესტრის განმავლობაში მქონდა შესაძლებლობა მემუშავა რამდენიმე კომპანიასთან, ჩამეტარებინა კვლევები, აღმომეფხვრა კომპანიის შიგნით არსებული პრობლემები და სემესტრის ბოლოს შემედგინა რეპორტი.

უზომოდ მადლობელი ვარ ჩემი უნივერსიტეტის ამ უნიკალური შესაძლებლობისთვის, საკუთარი თავის - დასახული მიზნის მიღწევისთვის და, რაღა თქმა უნდა, ჩემი მიმღები უნივერსიტეტისა - ინჰოლანდის უნივერსიტეტისა და ნიდერლანდებისა, აწ უკვე მეორე სამშობლოში, იმ მომენტებისათვის, რაც ამ ხუთი თვის განმავლობაში დავაგროვე!